

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

### კ ა ნ ო ნ ი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“ №209-210, 26.10.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

#### 1. მე-3 მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უმაღლესი საბჭო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 დეპუტატისაგან და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 6 დეპუტატისაგან“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) აქტიური საარჩევნო უფლება - მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრების ასარჩევად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში“;

გ) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „კ“-„ნ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საარჩევნო რეგისტრაცია - საარჩევნო კომისიის მიერ პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატების რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით;

„ლ) საარჩევნო სუბიექტი - უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია და საარჩევნო ბლოკი;

„ლ<sup>1</sup>) საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი - პირი, რომელიც წარდგენილია რეგისტრაციისათვის შესაბამის საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილეობის მიზნით;



„წ) საარჩევნო დოკუმენტაცია - საარჩევნო კომისიებში შემოსული და საარჩევნო კომისიებიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები, საკონტროლო ფურცლები, რეგისტრაციის ჟურნალი, ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველის ბარათი და სხვა დოკუმენტაცია;“ ;

**2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„ა) აქტიური საარჩევნო უფლება აქვს არჩევნების დღისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი, აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება;“.

**3. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.“.

**4. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„2. უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 25 წელი.“.

**5. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 13. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები :

- ა) საქართველოს პარლამენტის წევრები;
- ბ) საქართველოს მინისტრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, საქართველოს სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირები (გარდა უმაღლესი საბჭოს წევრებისა);
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები;
- დ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები;
- ე) მოსამართლეები;
- ვ) პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები;
- ზ) სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მათი მოადგილეები;
- თ) საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები;

ი) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;

კ) საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე;

ლ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები;

მ) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები;

ნ) აუდიტორული საქმიანობის საბჭოს წევრები;

ო) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრები;

პ) თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;

ჟ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები;

## 6. მე-14 მუხლი ამოღებულ იქნეს.

## 7. მე-15 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება არჩევნების თარიღის გამოცხადებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად.“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებული იქნეს.

## 8. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი ფორმირების წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთიანი სია არის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

2. ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება არჩევნების თარიღის გამოცხადებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. ამომრჩეველთა ერთიანი სიაში შეიტანება ამომრჩევლის:

ა) გვარი, სახელი;

ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

გ) რეგისტრაციის ადგილი;

დ) საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი;

ე) საჭიროების შემთხვევაში, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი).

ვ) ამომრჩეველთა ერთიანი სიაში რეგისტრაციის თარიღი.

4. უსკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერულ დამუშავებასა და მისი საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ; ამომრჩეველთა ერთიანი სიაში რეგისტრაციის თარიღი) უსკო-ს ვებგვერდზე განთავსებაზე.

5. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამ კანონით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციასა და ამომრჩეველს უფლება აქვთ

გაეცნონ უმაღლეს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ ვერსიას (ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მისი და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა, მოითხოვონ ამომრჩეველთა მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. მონაცემების გაცნობა და ასლის გაცემა ხდება საჯარო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-14 დღისა. ამ კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და განკარგულების გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს განმცხადებელს.

7. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანის შესახებ 2 დღის ვადაში გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

8. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან 1 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება 1 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-11 დღისა, უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში.

9. საუბნო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს მისი პირველი შეკრების დღისა გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი, ΑΟΥΑΑΪΑΑΕΘ ΑΑΪΪΥΑΑΑΑΑΕΘ ΑΥΕΘΑΕΑΕΘ ΥΑΘΕΪ ΑΑΪ ΪΕΥΑΑΘΕΕ ამომრჩეველთა ერთიანი სიების, ხოლო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა – დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიის 2 ეგზემპლარი (საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნილებული ვერსიები). ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნილებული ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

10. იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების (პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების ცნობა) წარდგენის შემთხვევაში წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ. უარყოფითი გადაწყვეტილების

შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავს კენჭისყრის დღეს, მას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს.

11. აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 10 დღის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის 10 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, ხოლო არჩევნების დღემდე მე-13-დან მე-10 დღემდე ცვლილება შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

12. უსკო და შესაბამისი საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.“.

## 9. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. ამომრჩეველთა სპეციალური სია

1. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ (სიაში შედის ამ კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები):

ა) საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;

ბ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში;

გ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან;

დ) ამ კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ამომრჩეველები;

ე) საქართველოს თავდაცვის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საგარეო დაზვერვის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების მიერ საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების იმ ვადიან და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე, რომელთა სამსახურის პირობები მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაური და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-10 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. მა მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებში აღნიშნულ პირთა, აგრეთვე საკუთარი მონაცემების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა ადგენს, განკარგულებით ამტკიცებს სპეციალურ სიებს და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

7. სპეციალურ სიაში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიან სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა.

8. სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს:

ა) როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე;

ბ) პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ხმას აძლევს სხვა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, გარდა, ამ მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი ხმას აძლევს სამხედრო შენაერთის დისლოკაციის ადგილის მიხედვით. თუ ამ ამომრჩეველს ხმის მიცემა უნდა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მან არჩევნებამდე არა უგვიანეს 16 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის მოთხოვნით.“.

#### **10. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 19. ამომრჩეველთა სიებისა და დანართის გამოქვეყნება

1. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის საარჩევნო  $\text{ΕΛΤΙ ΠΤΑΧΑΕΤΙ ΑΕΕ}$  განსაზღვრული წესი კომისიის პირველივე შეკრების დღეს, ხოლო დანართი – მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

2. ერთიან სიებში, ამ კანონით დადგენილ ვადაში შეტანილი მონაცემების შემოწმების საფუძველზე, გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“, იმ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ, რომელიც:

ა) შეყვანილია სპეციალურ სიაში, აღინიშნება „კომისიის წევრია“, „საავადმყოფოშია“, „წინასწარ პატიმრობაშია“;

ბ) შეყვანილია დანართში, აღინიშნება „შეყვანილია დანართში“;

გ) იმყოფება საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიან და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში, აღინიშნება „სამხედრო სამსახურშია“;

#### **11. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 19<sup>1</sup> მუხლი:**

„მუხლი 19<sup>1</sup>. ამომრჩევლის ბარათი

ამომრჩევლებისათვის ამომრჩევლის ბარათის გადაცემა ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მიერ დადგენილი წესითა და ვადაში.“.

#### **12. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 20. საარჩევნო ოლქები

1. მაჟორიტარული არჩევნებისათვის იქმნება 6 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

2. ყოველი თვითმმართველი ერთეული არის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

3. საარჩევნო ოლქებს ქმნის, მათ საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

არჩევნების თარიღის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში და აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას ოლქების საზღვრების მითითებით.“.

### 13. 21-ე მუხლის:

ა) მე-2–მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საარჩევნო უბანი იქმნება როგორც წესი არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისათვის. როგორც წესი საარჩევნო უბნების საზღვრები იგივეა, რაც საქართველოში გამართული ბოლო არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრები.

3. საარჩევნო უბნების ნომრებს ადგენს და საზღვრების მითითებით აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია მისი შექმნიდან 3 დღის ვადაში.

4. გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოში გამართული ბოლო არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში დამატებით და/ან განსხვავებულ საზღვრებში საარჩევნო უბნების შექმნის საკითხს წყვეტს უმაღლესი საარჩევნო კომისია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წარდგინების საფუძველზე.“.

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უსკო საარჩევნო უბნის შექმნიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - 2 დღის ვადაში, პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს.

### 14. 22-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისა (შემოკლებით – უსკო) და ამ კომისიის აპარატისაგან, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა უმაღლესი საარჩევნო კომისია.“.

ბ) მე-5–მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს (გარდა ამ კანონით დადგენილი წესით პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრებისა) უფლება არა აქვს შევიდეს პარტიაში, ხოლო თუ იგი პარტიის წევრი იყო, ვალდებულია გავიდეს პარტიიდან.

6. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრები, აპარატის თანამშრომლები და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები (გარდა დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებისა) არიან საჯარო მოხელეები. მათზე ვრცელდება საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი .

7. უმაღლესი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევა/დანიშვნაზე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-18 მუხლით დადგენილი წესი.“.





„7.კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა (თუ ამ კანონით უფრო მაღალი კვორუმი არაა დადგენილი), მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.“ ;

გ) მე-11. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„11. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 1 დღის ვადაში.“;

დ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია დადგენილებას იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ით.“.

## **18. 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგს და ხარჯთაღრიცხვას უსკოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო, ხოლო ბიუჯეტს უმაღლესი საბჭო.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში (3 თვის განმავლობაში), უსკოს მიერ დადგენილი ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.“.

## **19. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„მუხლი 29. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების  
წევრთა შრომის ანაზღაურება

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრსა და ამ კანონის 36-ე მუხლის მიხედვით პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან ენიშნებათ ხელფასი.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და სხვა წევრებს (ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით) არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე ენიშნებათ ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

4. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს უსკო.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება უსკოს მიერ დადგენილი ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

## **20. 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„ა) უსკოს დადგენილება და განკარგულება, უსკოს თავმჯდომარის განკარგულება, უსკოს თავმჯდომარის ბრძანება, უსკოს მდივნის განკარგულება;“.

## **21. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„მუხლი 31. საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა

1. უმაღლესი საარჩევნო კომისია შედგება თავმჯდომარის და 12 წევრისაგან. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. თავმჯდომარესა და 5 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი საბჭო. ხოლო 7 წევრს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარებიან უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

3. საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან. საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები.“.

## 22. 32-ე მუხლის :

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„მუხლი 32. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის არჩევა“ ;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და 5 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი საბჭო.“ ;

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საზოგადოებაში სარგებლობს დადებითი რეპუტაციით, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 22-ე მუხლის, ამ მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღე.“ ;

დ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„10. მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატების უმაღლეს საბჭოში წარდგენიდან არა უგვიანეს 14 დღისა, უმაღლესი საბჭო ფარული კენჭისყრით ირჩევს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს/წევრებს. თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/წევრი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა საარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება მათ შორის საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი/კანდიდატები. თუ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენამდე.“;

ე) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„13. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემდეგ, კომისიის შემადგენლობის ექვსამდე შესავსებად, უმაღლესი საბჭოს უახლოესი სასესიო კვირის განმავლობაში, მთავრობის თავმჯდომარე ხელახლა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს იმ კანდიდატებს, რომლებმაც მიიღეს

სიითი შემადგენლობის არანაკლებ უმრავლესობისა, ან არა უგვიანეს 3 დღისა ნიშნავს კონკურსს. იგივე წესი მოქმედებს ასეთი კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში.“.

**23. 33-ე მუხლის პირველი პუნქტის :**

ა) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს ;

ბ) „ღ“ და „მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ღ) განკარგულებით ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ფორმას, ბიულეტენების ტექსტებს, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიის ბეჭდების სახეებს, ამ კანონით განუსაზღვრელი, მაგრამ არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს;

მ) უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების დამზადებასა და საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;“;

გ) „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს ;

დ) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„უ) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების საფუძველზე, ამ კანონით საარჩევნო დაგების განხილვისათვის დადგენილი წესით ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ. განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების/სპეციალური კონვერტების/ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ;“ ;

ე) „რ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს ;

ვ) „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ს) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე აჯამებს პროპორციული წესით ჩატარებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების (პარტიული სიები) შედეგებს, რის თაობაზეც დგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;

ტ) უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და მათ დაუყოვნებლივ განთავსებას უსკოს ვებგვერდზე, ხოლო ამ პუნქტის „უ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - მის განთავსებასაც (უსკოს ვებგვერდზე);“;

ზ) „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ღ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე, მის კომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ასევე ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი, ამომრჩევის ამომრჩეველთა ერთიანი სიაში რეგისტრაციის თარიღი) უსკოს ვებგვერდზე განთავსებაზე;“.

**24. 34-ე მუხლის :**

ა) მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„თ) განკარგულებით ანიჭებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსს ამ კანონში აღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებულ

ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების ჯგუფს;“ ;

ბ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უსკოში დანიშნულ დამკვირვებლებს, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ წარგზავნილ დამკვირვებლებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;“.

**25. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

„მუხლი 36. საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნა

1. საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრი. ერთი წევრს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უსკო, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები.

2. პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. თუ უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიები ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, უსკოს ამ ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღიდან უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა 13 წევრამდე შეავსოს.

3. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ასარჩევ საკონკურსო პირობებს, ვადებსა და წესს განკარგულებით განსაზღვრავს უსკო.

4. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ პოლიტიკური პარტიის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს დანიშნული პირის სახელი, გვარი; განათლება (უმაღლესი); სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს); მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად); სამუშაო ადგილი და თანამდებობა; საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს); საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, სადაც ინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად და მას უნდა დაერთოს:

ა) 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

გ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;

ე) წევრის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

5. თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არა უგვიანეს მომდევნო დღისა აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) მას, ვინც დანიშნა კომისიის წევრი. შესწორებული საბუთები უმაღლეს საარჩევნო კომისიას უნდა დაუბრუნდეს არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

6. წარდგენილი პირი კომისიის წევრად არ ჩაითვლება, თუ დაირღვა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საბუთების წარდგენის ვადა ან/და წარდგენილი საბუთები არასრული ან არაზუსტია და ამ მუხლით დადგენილ ვადაში არ იქნა აღმოფხვრილი საბუთებში არსებული ხარვეზი.

7. საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას ნიშნავს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში.

## 26. 37-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

## 27. 38-ე მუხლის :

ა) პირველი პუნქტის :

ა.ა) „დ“-„ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„დ) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივარის საფუძველზე (კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უფლებამოსილების ფარგლებში) ამოწმებს საუბნო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ;

ე) განცხადების/საჩივრის საფუძველზე და აგრეთვე, საკუთარი ინიციატივით ამოწმებს კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების მოქმედებისა და გადაწყვეტილებათა კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას (მათ შორის, შეცვალოს საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგამებელი ოქმის მონაცემები შემოწმების შედეგების შესაბამისად, ან ბათილად ცნოს კენჭისყრის შედეგი საარჩევნო უბანში);

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემადგამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, ადგენს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, რის თაობაზეც დგება საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემადგამებელი ოქმი;

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემადგამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემით (პარტიული სიები) ჩატარებული არჩევნების კენჭისყრის შედეგებს, რის თაობაზეც დგება საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემადგამებელი ოქმი;“ ;

ა.ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ი) უზრუნველყოფს რიგგარეშე, ხელახალი არჩევნების, განმეორებითი კენჭისყრის, შუალედური არჩევნების მეორე ტურის გამართვას;“ ;

ა.გ) „ქ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს ;

ა.დ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„რ) ამ კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს ამომრჩეველთა სიების ფორმირებას, უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას;“ ;

ა.ე) „ს“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„2. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ქვეყნდება მიღებიდან მომდევნო დღეს.“.

**28. 39-ე მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

"თ) ანიჭებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსს ამ კანონში აღნიშნულ ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს."

გ) მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებლებს";

დ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ვ" ქვეპუნქტი.

"ე) ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას".

**29. მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"მუხლი 40. საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნა

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში".

**30. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**მუხლი 41 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევა/დანიშვნა**

"საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის/დანიშვნის ვადები და წესი განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევა/დანიშვნისათვის დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში."

**31. 42-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**მუხლი 42. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება**

"საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში."

**32. 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**მუხლი 43. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის,**

**თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის უფლებამოსილება**

"საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის უფლებამოსილება განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით."

**33. 44-ე მუხლის:**

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო

განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.

2. განცხადებას უნდა დაერთოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება, ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტიამ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას რეგისტრაცია გაიარა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში);"

ბ) მე-4 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) საქართველოს პარლამენტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბოლო არჩევნებში სხვა პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა".

გ) მე-4 პუნქტს დაემატოს "მე-4<sup>1</sup>" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"4<sup>1</sup>. პარტიას რომელსაც არ გააჩნია რეგისტრაცია ცესკოში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3000 მხარდამჭერთა ხელმოწერები. პარტიას მხარდამჭერთა სიის ბლანკები უნდა გადაეცეს უსკოს შესაბამისი სამსახურის მიერ, კომისიაში განცხადების წარდგენისთანავე".

დ) მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა უსკოს თავმჯდომარე:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა და მას ეძლევა 3 დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისათვის;

გ) შესწორებული განცხადებებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან 2 დღეში. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უსკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

7. უსკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკები და გავიდნენ საარჩევნო ბლოკებიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 43-ე დღისა, უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება.

8. საარჩევნო ბლოკში სემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილ საარჩევნო ბლოკის წესდებაში აღინიშნება:

ა) საარჩევნო ბლოკის სახელწოდება და თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში.

ბ) საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ჩამონათვალი;

გ) საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო (თუ არსებობს), ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილება;

დ) საარჩევნო ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, ბლოკში ახალი წევრის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესი;

ე) პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება;

ვ) საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის ბეჭდის გამოყენების წესი;

ზ) საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის წესი;

თ) საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი.

ე) მე-9 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) საქართველოს პარლამენტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბოლო არჩევნებში სხვა პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა."

ე) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"13. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა უსკოს თავმჯდომარე:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა და მას ეძლევა **3** განცხადებისა და საბუთების სრულყოფისათვის;

გ) შესწორებული განცხადებებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან **2 დღის ვადაში**. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უსკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. "

ზ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"18. არჩევნების დღემდე არა უგვიანეს **30-ე** დღისა, უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა და ამის მიზეზებს."

**34. 45-ე მუხლი ამოღებულ იქნეს**

**35. 46-ე მუხლის:**

- ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით  
მუხლი 46. პარტიის, საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის  
გაუქმება
- ბ) 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს
- გ) 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს
- დ) 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს

**36. 47-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

"8. პარტიული სია უსკოს უნდა წარედგინოს პარტიის/საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა და მას თან უნდა ერთვოდეს უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი საადრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. თუ კანდიდატი იმავდროულად არის წარდგენილი საარჩევნო ოლქშიც, საადრიცხვო ბარათი და ფოტოსურათი 2 ცალად უნდა იქნეს წარდგენილი; ამ საბუთების თითოეულზე მკვლარი მათი მიღებიდან ორი დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას."

**37. 47-ე მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნეს**

**38. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

"მუხლი 48 კანდიდატთა წარდგენა საარჩევნო ოლქში

- 1. საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ :
  - ა) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას ;
  - ბ) საარჩევნო ბლოკს.
- 2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ყოველ საარჩევნო ოლქში წარადგინოს უმაღლესი საბჭოს წევრობის თითო კანდიდატი. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატი იმავდროულად უნდა იყოს პარტიულ სიაში. გამონაკლისია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შუალედური არჩევნები, რომლის დროსაც შეიძლება წარდგენილ იქნეს პირი, რომელიც არ იყო პარტიულ სიაში".

**39. 49-ე მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

"1. პარტიული სია და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით, თუ ამ კანონით დადგენილი ყველა საბუთი შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს. რომელიმე საბუთის წარდგენისათვის ამ კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება."

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

"2. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს უსკოს სათანადო სამსახური და სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 26-ე დღისა, დასკვნას წარუდგენს უსკო-ს თავმჯდომარეს, რომელიც 3 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 25-ე დღისა:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატებს, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა და მას ეძლევა 3 დღე პარტიული სიისა და სხვა საბუთების სრულყოფისათვის."

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

"3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შესწორებული მონაცემები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უსკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიასა (ან მის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუ ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები არ არის) და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატებს, ხოლო დანარჩენი კანდიდატების თაობაზე გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმუმზე ნაკლები კანდიდატი დარჩა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება და უსკოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას პარტიული სიის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ამ პუნქტში აღნიშნული განკარგულება პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს და მოთხოვნისთანავე გადაეცეს."

დ) მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს

ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

"6. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას, ან დარღვეულია ამ კანონით დადგენილი სხვა პირობები, კერძოდ:

ა) თუ არასრული ან არასწორია განცხადებებსა და საბუთებში აღნიშნული მონაცემები;

ბ) თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატი არჩევნების მონაწილე სხვა პარტიის წევრია;

გ) თუ კანდიდატი შეყვანილია ერთზე მეტ პარტიულ სიაში ად ერთდროულად არსებობს ან არსებობდა ერთზე მეტ სიაში შეყვანაზე მისი თანხმობა;

დ) თუ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი საარჩევნო ოლქში იმავედროულად წარდგენილია სხვა პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ;

ე) თუ დარღვეულია რომელიმე საბუთის წარდგენისათვის ამ კანონით დადგენილი ვადა;

ვ) თუ საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდა მის წარმდგენ საარჩევნო სუბიექტს;

ზ) თუ დარღვეულია ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში იმართება სხვა არჩევნები და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის თანხმობა ამ არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობაზე."

#### **40. 50-ე მუხლი ამოღებულ იქნეს**

#### **41. 51-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

##### **"მუხლი 51. მხარდამჭერთა სიების წარდგენა და შემოწმება**

პარტიის რეგისტრაციისათვის ამ კანონით დადგენილი მხარდამჭერთა სიების საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შემოწმებასა და წარდგენას ახორციელებს უსკოს შესაბამისი სამსახური საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლით დადგენილი წესითა და ვადებში."

#### **42. 52-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

##### **მუხლი 52. საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრა**

1. საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომერი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში.

2. უფლებამოსილი პოლიტიკური გაერთიანების განცხადება რიგითი ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით წარედგინება უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

#### **43. 53-ე მუხლის:**

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს არჩეული უმარლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყდება ამ სიით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება, უფლებამოსილების

შეწყვეტის მომენტიდან მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობამდე. კანდიდატურა მოიხსნება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკის წესდებით განსაზღვრული პირის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს "3<sup>1</sup>" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"3<sup>1</sup>. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს შეუძლია არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ მოხსნას თავისი კანდიდატურა პარტიული სიიდან, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიას. მისი კანდიდატურა მოიხსნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განცხადების წარდგენიდან 3 დღის ვადაში. თუ განცხადება ამ ვადაში არ დაკმაყოფილდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოხსნილად ჩაითვლება ამ ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან".

#### **44. 57-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

##### **მუხლი 57. საარჩევნო კამპანიის ფონდი**

1. საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნისა და განკარგვის წესი ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი ვადებითა და დადგენილი წესით.

2. საარჩევნო კამპანიის ფონდთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია წარედგინება უსკოს

#### **45. 58-ე მუხლი ამოღებულ იქნეს**

#### **46. 59-ე მუხლი ამოღებულ იქნეს**

#### **47. 63-ე მუხლის:**

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. უმაღლესი საარჩევნო კომისია საოლქოსაუბნო შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-18 დღისა თავის სხდომებზე აჯამებს პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს და შეაქვს ისინი არჩევნების შემაჯამებელ ოქმში. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შეჯამების პროცესში უსკოს, გარდა საკუთარი უფლებამოსილებისა, ენიჭება შეჯამებასთან დაკავშირებული საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა უფლებამოსილება. უსკოს შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ უსკოს თავმჯდომარე და მდივანი."

ბ) მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5%-ისა."

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7. ΔΟΙΘΙ ΟΥΕΘΕΕ ΘΕΟΘΑΙΕΕ ΑΘΑΙΒΕΕΑΑΕΕ ΙΑΙΑΘΑΕ ΙΕΘΕΘΑΙΑΑ ΙΑΙ ΕΙ Α ΕΙ ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΟ, ΘΙ ΙΑΕΙΑΥ ΙΕΕΥΙ ΑΘΑΑΙΑΑΘΕ ΙΙ ΙΑΒΕΕΑΕΑ ΑΙΑΑΕΘ ΑΘΑΙΑΕΕΑΑ 5%-ΕΘΑ. ΑΘΑΑΙΑΑΘΕ ΙΙ ΙΑΒΕΕΑΕΑ ΑΙΑΑΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΘΕ ΑΘ ΘΑΕΕΑΕΑΑ ΑΑΕΕΕΑΑ ΥΙΙ ΑΕΕΕ ΑΕΘΕΑΘΑΙΑΑΕΕ ΑΑΕΑΑΕΘΒΕΙΑΘΘΕ ΑΙΑΑΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΑ".."

ე) მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7<sup>1</sup> და 7<sup>2</sup> პუნქტები:

7<sup>1</sup>. ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΕΘ ΙΕΘΘ ΙΕΘΑΘΘΕΕ ΙΑΙΑΘΑΘΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΘ ΘΑΘΑΑΑΙΑΑ ΙΕΘΘ ΙΕΘΘ ΙΕΘΑΘΘΕΕ ΑΙΑΑΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΘ ΘΙΑΑ ΑΑΙΘΑΕΑΘ 12-ΑΑ ΑΑ ΑΑΕΥΙΘ ΑΘΑΕΘ ΘΘΑΕΘΘΑΘΕΘ ΙΕΘΘ ΙΕΘΑΘΘΕΕ ΑΙΑΑΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΘΕΑ ΑΑΙΙΑ. ΙΕΘΑΘΘΕΕ ΘΕΥΑΘΘΘ ΙΕΘΘΕΕ ΙΑΒΕΕΕ ΑΘΘΘ ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΕΘ ΙΕΘΘ ΙΕΘΑΘΘΕΕ ΙΑΙΑΘΑΘΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΘ.

7<sup>2</sup>. ΕΘ ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΕΘ ΙΕΘΘ ΙΕΘΑΘΘΕΕ ΑΙΑΑΕΘ ΘΑΙ ΑΑΙΙΑΘΕΑ ΑΑΙΙΑ 12-ΑΑ ΙΑΕΕΑΘΕΑ, ΑΑΘΙΑΒΕΕΑΑΑΕΕ ΙΑΙΑΘΑΘΑΕΑΑΙ ΕΕΕΙ ΙΑΙΑΘΘΕ ΙΕΘΕΘΑΙΑΑΑ ΕΙ ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΘΑΘ, ΘΙ ΙΕΑΑΙΑΥ ΙΑΘΘΕ ΑΙΑΑΘ ΙΕΕΥΑΘ.

ვ) 8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ΕΘ 12-ΑΑ ΙΑΘΙΑ ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΘΙΑ ΙΕΕΥΙ ΑΘΑΑΙΑΑΘΕ ΙΙ ΙΑΒΕΕΑΕΑ ΑΙΑΑΕΘ 5% ΑΙ ΙΑΘΘΕ, ΑΙ ΙΘΑΘΘΘ ΙΑ-7, ΙΑ-7<sup>1</sup> ΑΑ ΙΑ-7<sup>2</sup> ΔΘΙΘΘΘΘΕΕ ΑΑΑΑΙΕΕΕ ΑΑΙΑΒΕΕΑΘΘΘ ΒΑΘΘΕ ΑΘ ΑΑΙΙΕΥΑΙΑΑ. ΑΘΑΘ ΘΑΙΘΑΑΑΑΘΕ ΕΕΕΙ ΙΑΙΑΘΘΕ ΙΕΘΕΘΑΙΑΑΑ ΕΙ ΘΑΘΟΥΑΑΙΙ ΘΘΑΕΘΘΘΑΘ, ΘΙ ΙΕΑΑΙΑΥ ΙΑΘΘΕ ΑΙΑΑΘ ΙΕΕΥΑΘ."

ზ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"12. განცხადების/საჩივრის არსებობისას, რომელიც მოითხოვს კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობას ან გადამოწმებას, უსკომ განკარგულებით შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ."

თ) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"14. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოწეობილი არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%, უსკოს განკარგულებით არჩევნებიდან 2 კვირაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა."

**48. 64-ე მუხლის:**

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

**"მუხლი 64. არჩევნების მეორე ტური. ხელახალი არჩევნები. შუალედური არჩევნები. უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი"**

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

"1. თუ მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველ ტურში უმაღლესი საბჭოს წევრი ვერ აირჩა, უსკო, კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა, ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს. მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ერთნაირი

საუკეთესო შედეგი ორზე მეტ კანდიდატს აღმოაჩნდა ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში მონაწილეობს ზემოხსენებული ყველა კანდიდატი."

გ) მე-4 პუნქტს დაემატოს "4<sup>1</sup>" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"4<sup>1</sup>. შუალედური არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს უსკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა. შუალედური არჩევნები იმართება სექტემბერ-ოქტომბერში ამ კანონით დადგენილი წესით. თუ შუალედური არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილია 60 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში."

დ) მე-7 პუნქტს დაემატოს "7<sup>1</sup>" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"7<sup>1</sup>. თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მის ადგილს ერთი თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიის რიგით მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოქმნიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში იმავე პარტიის მომდევნო კანდიდატი და ა.შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით."

ე) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"8. ამ მუხლის მე-7 და 7<sup>1</sup> პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში უსკო სათანადო საბუთებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს."

ვ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-10 და მე-11 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

"10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარტიულ სიებში დარჩენილ პირებს შეუჩერდებათ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსი.

11. პარტიული სიით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსი აღუდგება იმ პირს, რომელიც ამ მუხლის მე-7 ან 7<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად მისი უფლებამონაცვლეა".

**49. 66-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 66. უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმება**

"1. დაწესებულებას ნარკოლოგიური შემოწმებისათვის ერთობლივად შეარჩევენ უსკო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა ნარკოლოგიური შემოწმება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო

კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში."

**50. 67-ე მუხლის "მე-2" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"2. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, საარჩევნო კომისიების, საარჩევნო სუბიექტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობა ხორციელდება ღიად და საჯაროდ."

**51. 69-ე მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. ყველა საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ: ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს; შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლებს; საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო კომისიაში; ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში; პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს. წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი სხდომიდან გააძეოს, რაც სხდომის ოქმში აღინიშნება."

**ბ) მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"დ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ წარმომადგენლებს;"

**გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

"4. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. "

**52. 70-ე მუხლის:**

**ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"2. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია უმაღლეს ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში."

**ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"6. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 2 წარმომადგენლის - საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით."

**გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ საერთაშორისო დამკვირვებლებს შეიძლება თან ახლდეთ თარჯიმანი, რომელიც მათთან ერთად გადის რეგისტრაციას უსკოში."

**53. 71-ე მუხლის:**

**ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"3. რეგისტრაციაში გატარების მიზნით, ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა და წარუდგინოს თავისი წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების) დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს."

**ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით :**

"10. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს განახორციელოს დაკვირვება ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში, ამ კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით."

**54. 72-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**

**55. 73-ე მუხლის:**

**ა) პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ყველა დონის საარჩევნო კომისიაში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი."

**ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"4. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს)."

**გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"6. საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის შესახებაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას."

**56. 74-ე მუხლის:**

**ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"3. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-3 დღისა."

**ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"4. განცხადების წარდგენიდან ერთი დღის ვადაში შესაბამისი კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენელს ერთი დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს)."

**57. 75-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 75. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა**

"წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) წარმოება და საინფორმაციო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესითა და დადგენილი ვადებით, იმ პირობით რომ, უფასო საეთერო დროის გამოყოფის საქართველოს ორგანული კანონით « საქართველოს საარჩევნო კოდექსით » საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა მაუწყებლებისათვის გათვალისწინებული ვალდებულებები შესაბამისად ვრცელდება აჭარის ა. რ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტზე და იმ მაუწყებლებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე, რომელთა სათაო ოფისებიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე."

**58. მუხლი 78-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**მუხლი 78. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა**

წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

**59. მუხლი მე-80 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**მუხლი 80. დავის განხილვის ვადა და წესი**

1. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მხოლოდ ამის შემდგომ – სასამართლოში, ამ მუხლით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის

ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. რაიონული/საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უსკოში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება.

4. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. უმაღლესი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. უსკოს/უსკოს ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. უმაღლესი საარჩევნო კომისიის/უსკოს ხელმძღვანელი პირის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისად საოლქო/უმაღლეს საარჩევნო კომისიას სარჩელის/საჩივრის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მხარეებს.

7. სასამართლოში დავის განხილვისას მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

8. საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში განცხადება/სარჩელი/საჩივარი შეტანილად ითვლება შესაბამის საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

9. საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში განცხადების/ სარჩელის/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

10. აკრძალულია ამ მუხლით დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

11. ამ კანონის 80<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში შეტანილი განცხადება/ სარჩელი/საჩივარი განუხილველი რჩება.

12. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრების ვადა და წესი, განცხადების/სარჩელის/საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა, ასევე მოსარჩელეთა წრე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

## **60. მე-80 მუხლის შემდეგ დაემატოს 80<sup>1</sup> მუხლი შემდეგი რედაქციით :**

მუხლი 80<sup>1</sup>. საარჩევნო დავები და მოსარჩელეთა წრე

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის ან არდანიშვნის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი, აგრეთვე არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე სარჩელი წარედგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. არჩევნების დანიშვნის ან არდანიშვნის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანისა და განხილვის ვადები განისაზღვრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით. არჩევნების კონსტიტუციურობის გასაჩივრების ვადაა შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 10 დღე, ხოლო კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა - ამ პუნქტში აღნიშნული კანონებით.

2. ამომრჩეველთა სიების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, აგრეთვე მოქალაქეს, რომლის განცხადებაც ამომრჩეველთა სიაში შეყვანის თხოვნით არ დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ;

3. საარჩევნო ოლქების შექმნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უსკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, უსკოს წევრს;

4. საარჩევნო უბნების შექმნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უსკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, უსკოს წევრს;

5. უმაღლესი და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრის არჩევის/დანიშვნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

6. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის/დანიშვნის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო და საუბნო კომისიის წევრს;

7. საარჩევნო კომისიის წევრის ან საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიის წევრს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება;

8. ქვემოთ მოხსენიებულ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ უსკოს განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, იმ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს, რომელ კომისიასაც შეუწყდა უფლებამოსილება;

9. პარტიის, საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს :

ა) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას თუ უსკოს თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა ეს პარტია, საარჩევნო ბლოკი ან მათი წარმომადგენლები ან/და გააუქმა მათი რეგისტრაცია;

ბ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლად დაინიშნენ უსკოში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ პარტია/საარჩევნო ბლოკი რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ;

10. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ :

ა) პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უსკოში, თუ უსკომ რეგისტრაციაში არ გაატარა პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატი;

ბ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლად დაინიშნენ უსკოში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ პარტიული/საარჩევნო ბლოკის სია, მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

11. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ უსკოს თავმჯდომარის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ : ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ უსკოს თავმჯდომარემ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა კანონმდებლობის დარღვევით;

12. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა კანონმდებლობის დარღვევით;

13. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი/საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენელს, რომლის განცხადება აკრედიტაციის შესახებ არ დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ამ კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

14. ამ კანონის 75-ე მუხლითა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ საქმე ეხება პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას;

ბ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ საქმე ეხება ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას;

15. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მიერ ამ კანონის 75-ე მუხლითა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-11 და მე-14-მე-17 პუნქტებით დადგენილი პირობების დარღვევის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

16. ამ კანონის 78-ე მუხლის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: კანდიდატის წარმდგენ პარტიას და თვით კანდიდატს, რომლის შესახებაც გამოიცა განკარგულება; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე სხვა პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას თუ კომისიამ არ დაადასტურა ზემოაღნიშნული დარღვევა;

17. კენჭისყრის დღის განმავლობაში და კენჭისყრის შედეგების შეჯამების დროს საუბნო საარჩევნო კომისიისა და მის ცალკეულ წევრთა მოქმედებისა და გადაწყვეტილებათა (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის) გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) რეგისტრირებული პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში; არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში არა უგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა;

18. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

19. საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში;

27. არჩევნების ჩატარებულად ან არჩატარებულად გამოცხადების შესახებ უსკოს განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს უსკოში, მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

28. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში უსკოს შესაბამისი განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

29. უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.

**61. 81-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**62. 83-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**63. 83-1-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**"მუხლი 83-1 საარჩევნო კომისიებში დასანიშნი წევრების საარჩევნო**

**ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის წარდგენისაგან განთავისუფლება**

1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მოთხოვნის ვალდებულება არ ვრცელდება 2008 წელს ჩასატარებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დასანიშნ კომისიის წევრებზე.

2. უსკოს წევრს, რომელსაც არ გააჩნია საარჩევნო ადმინისტრირების მოხელის სერტიფიკატი, უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება 2009 წლის 1 იანვრიდან, თუ მან არ ჩააბარა საარჩევნო ადმინისტრირების მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდა."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,  
2008 წლის  
№ უ.ს.რ.ს.

*18.07.2008*